რას ფიქრობს ჩემპიონი!

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 31 აგვისტო.

"დინამო" (თბილისი) – "ჩერნომორეცი" (ოდესა) 3:1 (2:1).

"დინამო": გაბელია, გ. მაჩაიძე, ჩივაძე, სულაქველიძე, ჭილაია, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე (კაკილაშვილი), გუცაევი, ყიფიანი, შენგელია (ჩელებაძე).

"ჩერნომორეცი": ჟეკიუ, დამინი, ლეშჩუკი, ლოგვინენკო, პლოსკინა (კაჩური), სკრიპნიკი, გოლოვინი, უსტიმჩიკი, შევჩენკო, ჩილიბი, იშჩაკი (პოგორელოვი).

მსაჯი: ვ. აქსელევიჩი (მოსკოვი).

გოლები: გუცაევი (28–ე), ჩილიბი (33), შენგელია (36, 66).

გაფრთხილებული არიან სკრიპნიკი და შენგელია.

თითქმის თვე-ნახევრის შემდეგ დიდი ფეხბურთი, როგორც იქნა, დაუბრუნდა თბილისს. ამ ხნის განმავლობაში ბევრმა წყალმა ჩაიარა, მოთავდა სასპარტაკიადო ტურნირი, სსრ კავშირის თასის გათამაშება, ჩემპიონატმაც განვლო ეკვატორი და ფინიშისკენ დაადგა გზას.

ქართული ფეხბურთის გულშემატკივართა მეტი წილი ამ მნიშვნელოვან საფეხბურთო მოვლენებს შორიდან ადევნებდა თვალს. თუმცა ასეთ ვითარებაშიც კი, ბუნებრივია, უყურადღებოდ არ დარჩენილა არც ერთი წვრილმანი. გულშემატკივარმა ყველაფერი აღნუსხა, თაროებზე ჩამოარიგა და საერთო შეფასებაც მისცა საყვარელ გუნდს.

რით დავიწყოთ? რა თქმა უნდა, თასით, ვერცხლით გაწყობილი ბროლის ჯილდო გუშინწინ თავის დღევანდელ პატრონს, თბილისელებსაც დაენახვა. იყო აღტაცებაც. იმ ბედნიერ 11 აგვისტოს სიხარულის მოგონებაც, სიამაყეც, მაგრამ გულშემატკივრის გულის გაძღება არც ისე იოლი საქმეა და… მიზეზი კი ის არის, რომ როგორღაც შევეჩვიეთ "დინამოს" წარმატებებს, სულ მეტი და მეტი გვინდა. ამიტომ, იქნებ სწორედ ახლაა სათქმელი, რომ თასის დასაკუთრება ნებისმიერი გუნდისთვის უკვე დიდი გამარჯვებაა, რომ ნებისმიერი კოლექტივი სიამოვნებით დაყაბულდება ერთ საფეხბურთო სეზონში ერთ ამგვარ ჯილდოს.

ქართული ფეხბურთის ლიდერმა ეს არ იკმარა, სპარტაკიადის „ვერცხლიც" მიისაკუთრა. ვიცი, ბევრისთვის ეს ერთობ „იოლი" ტურნირი იყო, ბევრს ახლაც ჰგონია, რომ „დინამომ" ძალების დაუძაბავად, სასხვათაშორისოდ ითამაშა ის 7 მატჩი. მე დინამოელთა იმ შვიდივე შეხვედრას დავესწარი, არც ერთი მათგანი არ იყო იოლი და ამ შეხვედრებიდან 4 მაინც თავისი დაძაბულობით საკავშირო ჩემპიონატის მატჩებს აღემატებოდა. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ პირველ ოთხ ადგილზე გასული გუნდებიდან (მოსკოვი, საქართველო, უკრაინა, რსფსრ) მხოლოდ საქართველოს ნაკრები იყო ერთადერთი კლუბით წარმოდგენილი. თანაც, რა დასამალია და, სანახევროდ ტრავმირებული…

წარმოუდგენელია, სამ ფრონტზე ერთდროულად ბრძოლას უკვალოდ ჩაევლო ნებისმიერი კოლექტივისთვის. მოსკოვის "დინამოც" კი, გუნდი, ცნობილი თავისი შეუპოვრობით, ბრძოლისუნარიანობით, ისე მოტყდა, რომ ჩემპიონატის უკანასკნელ მატჩებში მარცხს მარცხზე განიცდიდა. არა და, ამ კოლექტივმა სასპარტაკიადო ტურნირის დროს ფეხბურთელთა ორი მესამედი მაინც დაზოგა. ამავე დროს

თბილისელებმა შეუნაცვლებლად გაიარეს მკაცრზე მკაცრი რეგლამენტის საცერში – 10 მატჩი 22 დღეში! იმ ბოლო, მეათე მატჩს კი თასის ფინალი ერქვა. აი, სწორედ ამ მატჩის შემდეგ კარგა ხანს ვერ მოიხედა მოსკოვის "დინამომ".

მაგრამ დროს გადის, ძველი დამსახურებანი ისტორიის კუთვნილება ხდება და ახლა ჩვენი გუნდი იმათთან ერთად თანაბრად იბრძვის ჩემპიონატის საპრიზო ადგილებისთვის, მაინცდამაინც დიდი ძალა რომ არ დასდგომიათ.

მიუბრუნდა გულშემატკივარი გათამაშების ცხრილს და აღმოაჩინა, რომ კიეველებს როგორღაც შეუმჩნევლად აუნაზღაურებიათ სტარტის დანაკარგი, აღმოაჩინა, რომ ისევ ინარჩუნებს ერთ–ერთი ლიდერის პოზიციას "შახტიორი", რომ მრავალრიცხოვან ქომაგთა კერპად ქცეული "სპარტაკი" თურმე ოქროს მედლებს უმიზნებს (თუმცა, რაღა ქომაგები, როცა პრესაშიც კი, მართალია აქა–იქ, მაგრამ სულ უფრო დაჟინებით წონიან "სპარტაკის" საჩემპიონო შანსებს, ხულ უფრო ხშირად უქებენ შემართებასა და თამაშის სტილს, სამაგალითოდ ხდიან სხვა გუნდებისთვის და თუ აქამდე ერთობ მორიდებით ლაპარაკობდნენ ამ კოლექტივის საფეხბურთო კლასზე, ახლა ამ მიმართებითაც საკმაოდ გულუხვად იმეტებენ ეპითეტებს).

ფიქრი იქნება თუ მიზანი, თუ კი ის სერიოზულია, საქმით ჩანს. ფეხბურთელისთვის ასპარეზი მინდორია, იქ კი ჩემპიონს აშკარად ეტყობა, რომ ფიქრადაც არ გაუვლია ბრძოლის თასით დაკმაყოფილება, რომ უბრძოლველად არ დათმობს საპატიო ტიტულს და ამას გარდა სხვა, უფრო ძნელ ტურნირშიც შეეცდება სირცხვილნაჭამი არ დარჩეს.

გუშინწინდელ მატჩში ეს ფიქრი თუ მიზანი საქმით და მხოლოდ საქმით იგრძნობოდა.

ტრადიციასავით დამკვიდრდა, რომ უმაღლესი ლიგის ბინადართა მეტი წილი საუკეთესო მატჩს თბილისის "დინამოსთან" თამაშობს. ჩვენ რომ სულ გავჩუმდეთ, ამას აღიარებენ თვითონ ჩვენი მეტოქენიც. ალბათ დამეთანხმება მკითხველი, რომ თავისი უკანასკნელი მატჩი თბილისის "დინამოსთან" "ჩერნომორეცმა" საუკეთესოდ ითამაშა. კიდევ ერთი კომპლიმენტი ჩვენს სტუმრებს: ითამაშა კარგად და რაც მთავარია, ვაუკაცურად. ღია ფეხბურთს მონატრებული თბილისელი მაყურებელი ამ მატჩის შემდეგ უკმაყოფილო არ უნდა წასულიყო. რა თქმა უნდა, ზემონათქვამი სულაც არ ნიშნავს, რომ სტუმრებმა არც უხეშობას მომართეს, პერსონალური მეურვეობაც დაივიწყეს, მაგრამ მარტო ის, რომ "ჩერნომორეცი" არც თუ იშვიათად უტევდა სამი, ოთხი და ხუთი ფეხბურთელითაც, უკვე ბევრს ნიშნავს. შედეგი? სანახაობრივად მეტად საინტერესო მატჩი და თბილისელთა კართან შექმნილი ძალზე სახიფათო მომენტები. ერთი მათგანი გოლითაც დასრულდა – 33–ე წუთზე სტუმრებმა ეფექტური გოლი გაიტანეს ჩემპიონის კარში. მანამდე კი, თითქმის შეხვედრის დაწყებიდანვე "დინამო" ბევრს და ეფექტურად უტევდა. 28–ე წუთზე გოჩა მაჩაიძის გადაცემის შემდეგ გუცაევმა გახსნა ანგარიში. საპასუხო ბურთს საპასუხო იერიშები მოჰყვა და 36–ე წუთზე გუცაევის მიერ კარის გასწვრივ ჩაწოდებული ბურთი თავური დარტყმით შენგელიამ სტუმართა კარში გაიტანა.

ხინჩაგაშვილის არყოფნა რომ ძალზე ეტყობა გუნდს, სადავო არ არის, მაგრამ იმ დღეს თბილისელთა დაცვაში წარმოქმნილი ღია დერეფნები მასპინძელთა ერთობ აგრესიულ თამაშსაც უნდა მივაწეროთ. თუმცა სხვანაირადაც ძნელი წარმოსადგენია – ახლა ნებისმიერ მატჩში მხოლოდ გამარჯვებაზე შეიძლება ფიქრი. ეს კი თავისთავად

გარკვეულ რისკსაც გულისხმობს. და მაინც, სათქმელია, რომ ჩვენს მცველებს იერიშზე გადასვლისას ან ზონის მიტოვებისას მეტი დაკვირვება მართებთ.

ერთი სასიამოვნო დეტალიც. “დინამო” იქამდე არ დამშვიდდა, ვიდრე სხვაობამ ორ ბურთს არ მიაღწია (66–ე წუთზე მესამე გოლი ისევ შენგელიამ გაიტანა), მერე კი, უთუოდ აუტანელი სიცხის გამო მასპინძლებმა დააშოშმინეს ბურთიცა და მეტოქეც. ყველაზე მეტად კი ამ მატჩში მაყურებელს თბილსელთა ნახევარდაცვისა და თავდასხმის ძირითადი შემადგენლობა და ამ ფეხბურთელების კოლექტიური ურთიერთობა მოხვდა თვალში. გუნდი თამაშობდა სწრაფად (როცა ეს საჭირო იყო), მახვილგონივრულად. შეტევებს მონაცვლეობით მიმართავდნენ ყიფიანი და მანუჩარ მაჩაიძე. დღევანდელი ყალიბის “დინამოსთვის” ეს ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია.

ახლა თბილისელებს სულის მოთქმის, დასვენებისა და ტრავმების მოშუშების შესაძლებლობა ეძლევათ (მორიგი მატჩი 15 სექტემბრისთვის არის დანიშნული), მერე კი ჩემპიონატის ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპი და ევროპის ჩემპიონთა თასის ტურნირი იწყება.

ი. ბერიაშვილი.
“ლელო”, 2 სექტემბერი, 1979 წ.